



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 116

2014 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

2014 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ წარმოდგენილი ზოგიერთი საგრანტო პროექტის მოხსნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 28 ოქტომბრის N104 ბრძანებით შექმნილი ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი ჯგუფის 2014 წლის 20 ნოემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

ა) 2014 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსიდან „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ მოიხსნას შემდეგი საგრანტო პროექტები:

1) საგრანტო პროექტი SC/77/6-190/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ქეთევან ტატიშვილი). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის: მე-3 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტის მოთხოვნებს; მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

2) საგრანტო პროექტი SC/58/6-410/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მიხეილ ლაბარტყავა); აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102

ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას;

3) საგრანტო პროექტი SC/62/6-110/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ლევ გეონჯიანი). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

4) საგრანტო პროექტი SC/70/6-110/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - შალვა კვიციანი). აღნიშნული საგრანტო პროექტის საპროექტო წინადადება არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო წინადადების ფორმას;

5) საგრანტო პროექტი SC/40/6-265/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მარინე დონაძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

6) საგრანტო პროექტი SC/31/6-400/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მზია დარეჯანიანი). აღნიშნული საგრანტო პროექტის საპროექტო წინადადება არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო წინადადების ფორმას;

7) საგრანტო პროექტი SC/42/6-420/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მამუკა მაისურაძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

8) საგრანტო პროექტი SC/67/7-140/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ეკა კვარაცხელია). აღნიშნული საგრანტო პროექტის არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

9) საგრანტო პროექტი SC/73/7-272/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაია კალანდარიანი). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27

ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

10) საგრანტო პროექტი SC/17/7-170/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - თამარ ვარაზი). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის კონკურსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

11) საგრანტო პროექტი SC/53/9-110/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - კობა კორსტანტია). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო წინადადების ფორმას. ასევე, ამავე ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

12) საგრანტო პროექტი SC/48/9-240/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ზურაბ ჯანელიძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

13) საგრანტო პროექტი SC/44/9-260/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნინო ბეკოშვილი). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველ და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა მოთხოვნებს;

14) საგრანტო პროექტი SC/45/9-240/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - დავით კეკელიძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველ და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

15) საგრანტო პროექტი SC/20/9-240/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - როზა ლორთქიფანიძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის N102 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

16) საგრანტო პროექტი SC/49/4-110/14 (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ზაზა დავითიძე). აღნიშნული საგრანტო პროექტი არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს - თამუნა ბოკუჩავას წინამდებარე ბრძანების, განთავსება ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე;

გ) ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

დ) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6)

მარინე ჩიტაშვილი
გენერალური დირექტორი

